ვოლტერის მეფე

მიტროიდაკტ დიდი

თხზულება

დიმიტრი ბაქრაძისა

ეამოიკუმის

ზ. ჭიჭინაძისაგან.

თბილისი.
ეჭვთიმე ხელაძის სტამბა, აკადემიის ქუჩაზე
1880

Библиотека-музей имени Акад. И. Джавахишвили Академия наук ГССР
ЗЗ 2280

Дозволено цензурою, Тифлисъ 4 Апрѣля 1880 года.

ჰონტის მეფე მიტრიდატ დიდი.

თორნავაზის შემდეგ დაჯდა მეფედ იმისი შვილი საურმაგი. ქართლის ერისთავებმა განიზრახეს იმისი სიკვდილი, „რადგანაც—სთქვეს იმათ არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვემსახურეთ ნათესავსა ჩვენსა.“ საურმაგი თორულად განივლტო დურძუკეთს, დედის ძმებთან. თან ჰყვანდა დედა, დურძუკელი, ნათესავი კავკასიისა. „მაშინ რომთა იგი ანზაურნი მივიდეს დურძუკეთსავე და რქვეს საურმაგს: „დიდი კეთილი დგას ჩვენზედა მამისა შენისა, ამისთვის ვართ ჩვენ მტკიცე ერთგულობასა შენსა.“ საურმაგი ეზრახა თავისს მამის დისწულს, ოსეთის მეფეს, შემოიკრიბა დურძუკეთი, დაიპყრა ქართლი, მოსრნა განდგომილნი, რომელთა შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი, წარჩინებულ ჰყვნა ანზაურნი, განამრავლნა დურძუნი, ნათესავნი, კავკასიანნი, რომელნიცა ტფილისსა მას ხაზართასა ყოველნიგე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქვეყნისა და ვერღარა უტევდა დურძუკეთი. საურმაგმა წარმოიყვანა ყოველთა კავკასიისა ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ჰყვნა და სხვანი და სხვა-

ნი მთიულეთს, ადიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად დედულნი და დაჯდა მცხეთას და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათჳს და ქართლისათა. და მან შექმნა ორნი გერბნი, ანიანი და დასანი და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა, და მსახურებდა იგი მეჯესა ასურასტანისასა.“ სიურმაგს ჴყვანდა ტოლად სპარსი, ბარდაგელის ერისთავის ასული, რომელმაც შობა მხოლოდ ორი ქალი: ერთს იმათგანს შეუღლდა ქუჯის შვილი, მეორეს მირვან სპარსი, ნებროთიდის შთამომავალი, და თვით სიურმაგის ტოლის სათესავი. სამურმაგმა იშვილა მირვანი და მისცა იმას ქალაქი გარიანი და საერისთავო სამშვილდისა, რომელიც შეადგენდა ოვარსავაზის დაეოთვით მეოთხე საერისთავოს, რომლის დედა—ციხე სასეიფოდებოდა სამშვილდედგე ანუ ორბეთად და მდებარებდა ქციის მდინარეზე. ამ საერისთავოს შეადგენდნენ—შემდეგში საბარათიანო, დბანის სეკი, სკვირეთი, თრიალეთი, „წილი“ გარიოანი, გარდაბანს ზეკითი; ამან გარიოს, ძეამან ქართლოსისმან ადგა შენა ქალაქი გარიანი, ანუ სანადირო—ქალაქი.“ სამშვილდის საერისთავოს ჴსაზღვრავდა: მდინარე სკვირეთი ანუ მაშავარი ვიდრე მთამდე. რომელ არს ტაშირი და ანბოტი.[1]) როგორც ამას წინათ

---

[1] გარეჯის გეოგრაფია, 166, 178—Eist de le Géor, l, p. 22, n 5.

ჩვენ მოგებსენეთ, ორბეთით სასკლეთ იწოდა თურქებს კოლხნია ორბელიანებად...

სუურმაგი მოკვდა და 162 წელს დავადა ტასტზე ნებროთიდი მირვანი. „მირვანი იყო, იტყვის ქართლის-ცხოვრება, ტანით სრული, მშვენიერი, ძლიერი, მსნე და ქველი. იმის მეფობაში დურძუკთ დაიგოწყეს სიყვარული თურნავაზისა და სუურმაგისა, გარდამოვიდეს დურძუკეთს მეფენი, გაუერთდნეს ჭირთალეთს მეფეთ კავკასიანთ, მოსტყვენეს კახეთი და ბაზალეთი, მდებარე კავკასის მთის გულში, ქსნის — ხევის საზღვრად. [1]) დურძუკნი იყვნეს წინა—ბარნი' ალინდელის ქისტებისა, ინგუშებისა და ღლიღველებისა, რომელნიც ერთ ხოთესაობას შეადგენენ და საუბრობენ ერთ ენაზე. იმათი ენა, ამტკიცებენ, თუმცა განსხვავდება სხვა კავკასიელთ ენაში, მაგრამ დიდად ემსგავსება ლეკების ენას, მეტადრე ყაზი—ეუმუურს და ავარულს.[2]) ქისტებიც არიან ის თუშნი, რომელნიც წოგელებად იწოდებიან. დურძუკნი ცხოვრობდნენ იქვე, სადაც ახლა ცხოვრობენ ინგუშნი და ღლიღველნი [3]. დურძუკთ ბინაველ წინა-ბარად ქართლის

---

[1] გალუშტ. გეო. რ., 220.

[2] Klaproth Voyage au Mont Caucase, t II, p 45, 351, 354.

[3] Wakhoueth, Deckription géogr be la Géor. p 454, 458. ძალგ. Crte générale des payséorg.

ცხოვრებაჲ უჩვენებს თარგამოსს. ის იტყვის: „დურძუკი ძე ტირეთისაჲ უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკაზისთა, მიავიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი.“ როდესაც თარგამოსიანნი საზართ ებრძოდნენ, მაშინ დურძუკნიც ჴშველოდნენ იმათ [1]. დურძუკნი იყვნენ გამოჩენილნი და ძლიერნი ტომი კავკაზიელთ ტომებში; ფარნავაზ მეფეს ჴყვანდა ცოლი დურძუკელთა, დედა საურმაგ მეფისა... შემდეგ დურძუკელთ ასლისა „მირვან მეფემ მოუღო და ყოველთა ერისთავთა, შემოკრიბნა ყოველნი კავკაზიანნი იყვნენ სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა მირვანისასა. შემოკრიბნა ესე ყოველნი და წარემართა დურძუკეთს, შეებრძეს დურძუკნიცა და დაუდგეს საომაგრესა ზედა გარდასავალთა გზასა... იქმნა ბრძოლა ძლიერი... და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი. უკანასკნელ იძლიეს დურძუკნი და ივლტოდეს... და შეავიდა მირვან დურძუკეთს და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი და შეაბნა კარნი ქვითკირითა და უწოდა სახელად დარუბალ... შეიყვარეს იგი ყოველთა მკვიდრთა ქართლისათა და მსახურებდა იგი მეფესა ასურისტანელთასა. მას ყამსა შინა მეფე იქმნა სომხითს, რომელსა ერქვა არშაკ. ეზრახა მირვანს არშაკ და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისასა, არშაკს. მოკვდა მირვან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ.“ (112 წელს).

---

[1] ბასუმტი გეოგრ. 220.

„ამან თვრანჯომ უმსტა ოოგელთა ტიხე-ქალაქთა შენება, და შექმნა კერპი სახელით ზადან. ამისა შემდეგად შეიყვარა სჯული სპარსთა, ტეტხლისა მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ტეტხლის-მსახურნი და მოგვნი და დასხნეს იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჭქვიან მოგვთა, და იწყო ცხადად გმობა კერპთა; ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა, ქართლისათა რამეთუ დიდი სასოება აქვნდათ კერპთა მიმართ. მაშინ შეითქვნეს ერის თავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და ჴრქვეს: „მეფე ჩვენი გარდასდა სჯულთ. მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მუერობელთა ქართლისათა. შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენად. მოგვეც ძე შენი არშაკი, რომელსა უზის ტოლად ნათესავი თვრნავაზიანთა მეფეთა ჩვენთა. გვაშველე ძალი შენი და ვაოტოთ თვრნაჯომ შემომღებელი ასლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკი და დედოფლად ჩვენდა ტოლი მისი, შვილი მეფეთა. მაშინ სთნდა სომეხთ მეფესა განზრახვა ესე... და იგი ოოგლითა ძალითა მისითა წარემართა ქართლს. ხოლო თვრანჯომ მეფემან მოუწოდა, სპარსთა შემოკრიბნა ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი მოეგებნეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრიბნა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა. იქმნა მათ შორის ტაშირს ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა

ორგნითვე ურიცხვი. იძლია და მოიკლა თვრნავჯომ, და მოსრნეს სხვა მისი, სოლო ძე თვრნავჯომისა, მირვან, წელიწადისა ერთისა ურმა წარიყვანა მძმა-მძუძემან მისმან და ილტოდა სპარსეთს.“

„სოლო სომეხთა მეფემან მოსცა ძე თვისი არშაკ (93 წელს) და დაიპყრა ოთველი ქართლი და მეფობდა ნებიერად, და უმატა ოთველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს მოამტკიცენ ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას. მოგვდა არშაკ და მეფე იქმნა ძე მისი არტაგ (181 წელს) [1].“

ასე დამყარდა საქართველოში დინასტია არსაკიდებისა ანუ არშაკიდებისა. არშაკიდები ადმოჩნდნენ პირველად პარფიაში, შემდეგ გავრცელდნენ სომხეთში და სომხეთიდამ საქართველოში. ერთ დროს არშაკიდები ისე ძლიერნი იყვნენ და ისეთ როლს თამაშობდნენ მსოფლიო ისტორიაში, რომ არ შეიძლება არ შევდგეთ იმათზე... გასაოცარ სახილველს წარმოგვიდგენს ის ეპოქა, რომელსაც ჩვენ შევეხებით. ალექსანდრე მაკედონელის ტასტზე ასვლიდამ 336 წელს ქრისტეს წინად, ვიდრე 65 წლამდე ქრისტეს შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაიჭირეს აზია, სულ ორმა საუკუნომ გაიარა. ამ მოკლე უამს აზიის პოლიტიკური მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ალექსანდრეს სიცოცხლეში დაეუძ-

---

[1] ქორთლის ცხოვრება გვ. 33—35.

ნდა დიდი მაკედონიის იმპერია, რომელმაც ჩანთქო სპარსეთი, ინდოეთი და მცირე აზია; მოკვდა ალექსანდრე და ეს იმპერია ჩაიშალა. აღუკვადა სელევკიდების სამეფოსა სირია; სირიამ დაკარგა თითქმის მთელი მაკედონიის იმპერია. დაეცა სირია და გაძლიერდა პარფია არშაკიდების ხელში. ამან თავისი მხრით დაამხო სირია და დაიჭირა იმისი ადგილი. ამ დროს განმავლობაში ერთსანს თვით სომხეთმაც აღმოიჩინა თავისი ძალი. მასუკან გაძლიერდა დიდი მიდრიდატის დროს პონტის სამეფოსა, რომელიც კი სანი რომის ძალას ებრძოდა და დასასრულ რომმა დასცა პონტი და გაავრცელა თავისი საზღვრები. არ ვიცით ნამდვილად რომლის ნათესავის ტესვიდამ მომდინარეობდა პარფიელების ტომი, რომელსაც არშაკიდები ეკუთნოდნენ. ზოგნი იტყვიან ვითომც პარფიელები შეადგენდნენ ინდო-ევროპიის ანუ სპარსის შტოს, ზოგნი თურანის ანუ თურქების მოდგმას [1]. პარფიელები ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთად. იმათი მსარე, რომელსაც ახლა აღმოსავლეთის ტომნი უწოდებენ არაგ-აგემს, შეადგენდა ხრიალსა და უწყლო ადგილს, აქა-იქ უტყეო—მთიანს. პარფიელები ხასიათით იყვნენ თავხედნი, მტაცებელნი, ველურნი ვაჟკაცნი, ერთი მეორესთან მუდამ მებრძოლნი.

---

[1] Malcolm, Hist. de la Perse, I, 362 363. Шлоссера Всемір. ист. I, стр. 121.

ისინი ცხოვრობდნენ გაცალკევებით, ჯგუფ-ჯგუფად; მოძრაობდნენ, მთაბარობდნენ. პარფიელნი მხოლოდ მაშინ შემოიკრებდნენ თავს, როდესაც საზოგადო განსაცდელს რასმე შეეჯახებოდნენ. პარფილებმა უფრო მაშინ აღმოიჩინეს თავისი ძალა, როდესაც სელევკიდების სამეფო სისუსტეში შევიდა $2^1/_2$ საუკუნის წინ ქრისტეს შობამდე. პარფიის მეფემ არშაკმა განდევნა პარფიიდამ სელევკიდები. როდესაც სირიის მეფე ანტიოქი პირველი მოკლულ იქმნა და სირია აირია, მაშინ სელევკიდების ძალა სრულებით დაეცა და პარფიის სამეფო დამყარდა. არშაკიდებმა დაიჭირეს ვრცელი ადგილი, ევფრატის მდინარიდამ ინდის მდინარემდე, ესე იგი: მესოპოტამია, ბაბილონი, მიდია, ადარბედაგანი, სუზიანა, სპარსეთი, ჭირკანია და ყარამანია. პარფია თავის მხრით დაემხო მხოლოდ მესამე საუკუნეში ქრისტეს შობის შემდე, როდესაც სპარსეთში გაძლიერდა ახალი დინასტია, ესე იგი დინასტია სასანიდებისა. ეფრატიდამ ვიდრე ინდოეთამდე არშაკიდებმა აღმოუხვრეს კვალი ბერძნული განათლებისა, არშაკიდები მიტრიდატ პირველის მეფის დროდამ (150 წ. ქრ. წინ) ცხოვრობდნენ ზამთარ ქ. ქტეზიფონში, ზაფხულ სხვა-და-სხვა ადგილს, მომატებულად კი მიიდის ქალაქში ეკბატანაში [1]. მიტრიდატ პირველ-

---

[1] Шлоссера Вс. ист., 25—27. Chevalier Chardin, Voyage en Perse, ll., 369—370.

მა დაიბურა თვით სომხეთი და 149 წელს მეფედ აქ
დასვა თავისი უმცროსი ძმა ვაჭარშაგი პირველი, რო-
მელმაც დაუფუძნა სომხეთის არშაკიდების დინასტია.
დედა-ქალაქად ვაჭარშაგმა ამოირჩია ქალაქი ნიზიბი ანუ
მეცეინი ჩრდილო მესოპოტამიაში. ეს ვაჭარშაგი დიდად
განთქმულია სომხის ისტორიაში. იმან დაიბურა პონ-
ტის ქალდეა და ლაზისტანი, მაკედონელის მოკავშირენი
მთიან-ტეიანი ტაიკი, ანუ ქართველების თორს-კარი იმან
დაუწესა საზაფხულო დრო, გასატარებლად და სანადირო
ადგილად; შემოიუვანა თავის ბძანებლობას ქვეშ კავკაზის
ტომნი და დასდო იმათ სარკი; დანიშნა თავისი მოა-
დგილეები ადოკანში ანუ ალბანიაში, გუგარეში ანუ
ჩვენ სომხეთში. გუგარელნი, მოსე ქორენელის სიტყვით
მომდინარებენ იმ მირდატისაგან, რომელიც დარეს
მოადგილე იყო და რომელიც ალექსანდრე მაკედონელს
დაედგინა ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულ იბე-
რიელთ გამგედ. ვაჭარშაგის სასარგებლოდ ისე არავის
ულვაწია, როგორც იღვაწა „შემძლემ და ბრძენმა“ შამ-
ბუ ბაგარატმა. ბაგარატი იყო ურიათაგანი, მოსეს
სჯულის ალმსარებელი. ის პირველი მიემხრო ვაჭარშაგს,
ამისთვის მიღებულ იქმნა სასახლეში, და სამსახურისა
მებრ დაიჯილდოვა. ის შეიქმნა მეფის მოადგილედ და
თერთმეტი ათასის ჯარის წინამძღოლად სომხეთის
დასავლეთს საზღვრებში, იქ, სადაც, მოსეს სიტყვით,
სომხური ენა ადრ ისმოდა. ბაგრატს სხვა უმაღლესი

დირსებაც მიენიჭა: ის გახდა ასპეტი ანუ სპათა უფრო-სი; მხოლოდ იმას შეეძლო მეძეიდრეებით გვირგვინის დადგენა მეფის თავზე; მხოლოდ ბაგრატს ჰქონდა ნება სასასლეში წარდგენის დროს შემოერტყა სარტეული საძ რიგის მარგალიტით მორთული. თვით შინაგანი სიმ-ხეთის წყობილება ვაჭარშაგმა თურმე დააწყო იმან დას-დო კანონად, რომ ერთ-ერთი მეფის შვილი იმყოფებო-დეს მეფესთან მეძეიდრეობის მისაღებად და დანაშთენი ვაჟები და ქალები კი ცხოვრობდნენ გვარის საუფლო მამულში. ვაჭარშაგმა ააშენა არმაგირის ქალაქში ტაძარი და აქ აღმართა სტატუები მზისა, მთვარისა და თავის წინა-პართ; ტაძრის მსახურთ მიაგო დიდი პატივი და შეჭრიცხა იგინი პირველ გვართ რიგში; დაადგინა მსა-ჯულნი სასასლეში, ქალაქებში და სოფლებში; საძეო პალატისთვის დაამყარა რიგი შემოსვლისა და გასვლისა, საღღესასწაულო ღღეებისა და ნადიმობისა. იმან გასაწე-სა ოთხგვარი სპა სასასლის დასაცველად. ეს სპანი იყვნენ შემდგარნი შეიარაღებულთ პირთაგან, რომელნიც ჭაბუკისგან მოამდინარეობდნენ და საშვილიშვილოდ ჭეშლობდნენ სოფლებს და დაბებს. „არ ვიცი, ამბობს მოსე, ამოისოცა თუ არა ძველი შთამომავლობა, ანუ აშლილობის გამო ამოწყვეტილ იქმნა და ამ სპათა ნაცვლად შესდგენო სხვანი სასასლის სპანი. ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვთქვა, რომ პირველი სპათა რიგნი მოამდინარეობდნენ მეფეების სახლიდამ, მსგავსად

იბერიელთ სეფე-წულთა.“ ეს სეფე-წულნი თვით ქართველის-ცხოვრებაშია ისსენებიან [1].

ვაჭარშაგმა იმეფა 22 წელი და შემდეგ გამეფდა იმისი შვილი არშაკი პირველი, რომელიც ცამეტის წლის განმავლობაში ისე განითქვა, როგორც ვაჭარშაგი. იმან დაამშვიდა მრავალნი ტომნი კავკასიისანი, რომელნიც ეძებდნენ განთავისუფლებას სომხეთის მეფის ბძანებლობისაგან. შემდეგ არშაკისა დაჯდა მეფედ ძე არშაგისა არდაშეზი პირველი. ამ არდაშეზის ძე იყო ის არშაგი, რომელიც ქართველებმა გამოსთხოვეს თავიანთ მეფედ და რომელმაც დაიუფლა საქართველოში არშაგიდების დინასტია. თუ დასაჯერებელია ვისთვისმე სომხის ისტორიის თქმულება, არდაშეზმა დაიმორჩილა მთელი მცირე აზია, განვლო ეგვეის ზღვა და შეავიდა ჯარით საბერძნეთში. აქ ის მოიკლა თავისავე კაცისაგან. არდაშეზმა დასტოვა მცირე წლოვანი შვილი ტიგრანი მეორე, რომელიც რამოდენიმე დრო პარფიელების ბძანებლობის ქვეშ იმეფებოდა. ტიგრანმა მალე მოიპოვა თავისუფლება. იმის დროს სომხეთმა დაიჭირა ადგილი უპირველესის აზიის სახელმწიფოების რიცხვში. ტიგრანმა დაიპყრა სირია და მრავალი თემი მცირე აზიისა, დაეცა არშაკიდების შტოს, რომელიც სპარსეთში მეფობდა. მესოპო-

---

[1] Исторія Арменіи 79—83, Hist. deja Géor. t. I, p. 159, 228, 430 ę. n 3.

ტამია, ალიაბენი და ადარბედაგანი იმის ხელში ჩაცვივ-
დნენ. იმან სპარსების მეფეების შემდეგ პირველმა მიი-
თვისა ტიტული: მეფეთ-მეფე. გაამაყებულმა თავის ძლე-
ვა-წარმატებით ტიგრანმა მიჰკერძა პონტის მეფეს მიტ-
რიდატს, როდესაც მიტრიდატი რომაელებს ებრძოდა [1].

რომაელნი პირველად გაერიენენ მცირე აზიის საქ-
მეებში სირიის მესუთე მეფის ანტიოქის დროს, რომე-
ლიც ჰფლობდა მომატებულ ნაწილს მცირე-აზიისას ინ-
დიდამ ხმელეთთა-შუა ზღვამდე. ამ ყამად ლიბს შესანი-
შნავს სამთავროებს მცირე-აზიისას შეადგენდნენ: ბითი-
ნია, პაფლაგონია, პონტი, პერგამი, გალატი, დასახლე-
ბული ახლად მოსულის ინდო-ევროპიულის ანუ ტევ-
ტონურის ტომისაგან, კაპპადოკია და სხვ. შემთხვევა
შემოსვლისა მცირე-აზიაში რომაელებს თვით ანტიოქმა
მისცა. ანტიოქი ცდილობდა, რომ ეგვიპტის მცირე
წლოვანის მეფის პტოლომე ეპიფანისთვის აეცილებინა
რომაელების გამგეობა და თავისი გავლენა გაევრცელე-
ბია ეგვიპტეზე. რომაელები და ანტიოქი შეიბრძოლ-
ნენ. რომაელებმა სძლიეს 190 წელს ქრისტეს წინად
და ანტიოქს ჩამოართვეს ნაწილი მცირე-აზიისა. რომე-
ლიც ტავრის მთას-იქით მდებარებდა. ვიდრე რომის
კომმისარები დაბოლოვებდნენ ამ საქმეს ანტიოქთან

---

[1] S Martin, Mém. sur l' Arménié l, 290—292
Шлоссера всемір. ист. IY, 26

კონსული მარლი თავის ჯარით შეკიდა მტირე-აზიის შუაგულში და აქ შეება ანტიოქის მოკავშირე გალატებს [1]. აქ რომაელები შეეჯახნენ პონტის მეფეს მიტრიდატ მეექვსეს.

პონტს ჰსაზღვრავდა: ჩრდილოეთით პონტის ზღვა აღმოსავლეთით საქართველოს პირი და სომხეთი, დასავლეთით პაფლაგონია, სამხრეთით კაპპადოკია. პონტში მდებარებდნენ სხვათა შორის ბერძნის ქალაქები ამასია, ტრაპიზონი, კერასუნი, თემის-ყური და ნეო-კესარია. პონტში ცხოვრობდნენ სხვა-და-სხვა ტომნი. პონტის მეფეები თავიანთ შთამომავლობას აწარმოებდნენ სპარსეთის მეფის კირუსიასაგან და უფრო მიტრიდატებად იწოდებოდნენ. ისინი თავდაპირველად სპარსეთის ბძანებლობას ქვეშ იყვნენ და იმის სასატრიპოს შეადგენდნენ

ქვეშ იყვნენ და იმის სატრიპოს შეადგენდნენ. მიტრიდატმა დაიკავეს ბერძნული ქალაქები და თავის სამფლობელოში გაავრცელეს ბერძნული განათლება და ყოფა-ცხოვრება, დაიმონავეს ადგილობრივნი მთის ტომნი—ტიბარენნი, სალიბნი და სხ. მეორე საუკუნის დამდეგ ქრისტეს წინად თორნაგ პირველმა, შვილმა მიტრიდატ მოთხისამ, დაიპყრა ადუკავებული და მჭიდროდ დასახლებული ბერძნის ქალაქი სინოპი, რომელიც

---

[1] V. de S—Mart. llust, des dècouv., ll, 348, 351—354.

დედა ქალაქად დაწესდა. სინოპის ტლოტი მიტრიდატემ შეისაკუთრეს. სინოპი იმათ ხელში უფრო აღუვა და შეიმკო სხვა-და-სხვა არსიტექტურის ნაწარმოებით ბონტის სამეფო უაღრესად გაძლიერდა I საუკუნის დამდეგ ქრისტეს წინ თავრნაკ ბირგელის შვილის-შვილის მიტრიდატ დიდის დროს [1]. მიტრიდატი ეომა რომაელებს ოც-და-ათი წელი. სულლა ლუკულლი და ბომპეი ერთი მეორის შემდეგ ებრძოდნენ იმას რომის ძალით და თუმცა მიტრიდატი რამდენჯერმე იძლია, მაგრამ ის მაინც არა ჭარგავდა თავის სასიათის ძალას და ახოვანებას, იმისი მძვინვარე სიძულილი რომაელებთადმი ძლევის შემდეგ უფრო აღვიძებდა იმის ენერგიას და აძლიერებდა იმის ლონის-ძიების წყაროს. მიტრიდატის მოკავშირენი იყვნენ: იმისი სიძე, სომხეთის მეფე ტიგრანი„ იბერიის მეფე არშაგის შვილი არტაგი, რომაელების ორტაგონი და ალბანიის ორაზესი. ამ დროს მიტრიდატს ეშურა კოლხიდა, საიდამაც იმას გამოჭქონდა თავის ტლოტისთვის საჭმარი ხე—ტყე და რომლის მმართველებად ჭყვანდა თავისნი ერთგულნი კაცნი. იმათ შორის იხსენიება სტრაბონის ბიძა მოაფარნი. მიტრიდატი ჭფლობდა აგრეთვე უმეტეს ნაწილს ათსაზეთისას და ჩერქეზეთისას. იმასვე ეძვემდებარებოდა ბოსფორი, რომელიც იმას დაუბმო ფერიზად მესამემ, რადგანაც

---

[1] Шлоссера, Всемірн. ист. III, 12—13.

ფერიზადმა ვერ შესძლო ბოსფორის შემაგრება, როდესაც იმას სკვითები დაესხნენ. მიტრიდატმა დაამშვიდა სკვითები. სამმა სან გრძლივმა შებრძოლებამ რომაელებთან არ მისცა მიტრიდატს წარმატება. 65 წელს მიტრიდატი კიდევ შეუდგა ბრძოლას და კიდევ იძლია: აქ იმან დაჭკარგა 10,000 კაცი და თითო მცირე ჯარით განიგლტო და მიჭმართა თავის სიძეს ტიგრანს. ტიგრანმა ის არ შეიწყნარა. მაშინ მიდრიდატი ეტრატის კიდიდამ გაემგზავრა კოლხიდისკენ, რომელსაც განაგებდა ათალი. აქ იმან დაჭეო ზამთარი დიოსკურიაში, საიდამაც ბოსფორში გასვლა განიზრახა. ბრძოლა შეკიდა კოლხიდაში, მაგრამ მიტრიდატს ვერა სდია გზის შიშის გამო და დარჩა ადგილობრივ. ბრძოლამ დაჭსაჯა მიტრიდატის მოკავშირენი. ათალი დაიჭირა და კოლხიდის გამგებ არისტარგი დასო. ამ დროს იბერიის მეფემ არტაგმა და ალბანიის მეფემ ორაზესმა შეკრიბეს 75,000 ჯარი მტკვრის პირად. ეს ცნობა მიიღო ბრძოლამ, როდესაც ის არგონავტების ექსპედიციის და ოქროს რუნის ისტორიის გამოძიებაში იყო. ბრძოლამ სწრაფულ ჰიმართა საომრად. არ ვიცით რა გზას დაადგა ისა, ვიცით მხოლოდ, რომ ბრძოლამ გამართა სიდი მტკვარზე ვიდრე მეფეებს შეებმოდა. შეშინებული მეფენი შეეფარდნენ ტფილს; ბრძოლამ შემოარტყა იმათ ჯარი, მისცა ცეცხლი ტფილს და ამოჭხოცა ვინც კი სელში ჩაუცვიდა. მეფეები დამარცხდნენ და მიეცნენ ბრძოლის, რომელმაც იმათ წაართვა დიდი სარგი ამანათებითურთ. რომაელების

ჯარი დაბრუნდა დიდ-ძალის ტუვებით დატვირთული მიტრიდატის შვილი თვრნაგ რომაელებს დაემორჩილა და რომის მოწყალებით ბოსფორის მეფობელი შეიქნა პონტი, ბითინია და ნაწილი კილიკიისა რომის პროვინციებად შერიცხნენ. ეს იყო 95 წელსა ამ გვარად ვე შეიცვალა სვე გალატისა 25 და კაპპადოკიისა 17 წელს პომპეის ცხოვრება და მოქმედება როგორც მცირე-აზიაში, აგრეთვე იმის გარეთ აღწერილია ბლუტარხისაგან, რომელიც 48 წელს ქრისტეს შობის წინ იშვა. რადგანაც აქ ჩვენთვის ღირს-საცნობელია მხოლოდ ის ფაქტები, რომელნიც შეესებიან პომპეის მოღვაწეობას სომხეთში და საქართველოში, ამისთვის ჩვენ მხოლოდ იმათ მივაქცევთ მკითხველის უურადღებას. ჩვენ მხარეზე ბლუტარხს თავისი ცნობა გაეზოუგრებია თეოფანეს წერილებიდამ, რომელიც პომპეის თურმე დაჭვებოდა აქ არ შეიძლება არ შეედგეთ ერთ ფაქტზე. როგორც ბლუტარხი, აგრეთვე სხვა რომაელების დრო ს მწერლები რომელნიც ჩვენს მხარეს შეესებიან. თითქმის ეველანი, ბერძნები იყვნენ, უეთესნი იმათში არიან; სხიმნუსი და სტრაბონი, რომელნიც :ეკვოდნენ ქრისტეს წინად ეკანასკნელის საუკუნის გასულს და პირველის საუკუნის დამდეგს და რომელთაც გადმოგვცეს პირველმა აღწერა პონტის ზღვის პირისა ფაზიდამ ბოსფორამდე, მეორემ —მთელი სურათი კავკაზისა და იმის ტომებისა; ქრისტეს შემდეგ მწერალნი — II-სა საუკუნისა აპპიანი, VI-საუ-

კუნის ეპოკაში იყვნენ აგრეთვე ბრძენები. ძველს ავტორებში ღირს-სასსოვარი ჩვენთვის რომაელთ მწერალთაგანი არის მხოლოდ ტაციტი, უკეთესი და განვითარებული ყველა იმათ ისტორიკოსებში. ის ცხოვრობდა 1 საუკუნის ნახევარს ქრისტეს შობამდე და იმან გადმოგვცა რამდენიმე სურათი ჩვენს მსარეზე.

როგორც ვთქვით, მიტრიდატი პომპეიმ სამუდამოდ დასცა და გაემგზავრა სომხეთისაკენ თავის სიძესთან ტიგრანთან. ტიგრანმა არა თუ არ შეიწყნარა ისა, ესი ტალანტიც დაუნიშნა ჯილდოდ ვინც მიტრიდატს მოჰკლავდა და იმის თავს წარუდგენდა. ეს იყო მიზეზი, პლუტარხის სიტყვით, რომ ბედ--კრულმა მიტრიდატმა ეფრატის მდინარის სათავე გაიარა და სახქაროდ მიჰმართა კოლხიდას. პომპეი შეკიდა სომხეთში. აქ ის მიიწვია ტიგრან-მეფის შვილმა უმაწვილმა ტიგრანმა და თვითონაც ძიეგება იმას არაქსის მდინარეზე. არაქსს, ამბობს პლუტარხი, იქვე აქვს თავისი სათავე, საიდამაც ეფრატი გამოდინარებს, თუმცა ის აღმოსავლეთის მხრივ მიემართება და კასპიის ზღვაში ჩადის. ტიგრან მეფემ თავის დედა ქალაქის კარი რომაელების ჯარს გაუღო და პომპეის მიჰმართა თავის დასაკრელად. როდესაც ის რომაელების სანგარს მიუახლოვდა ცხენით, მაშინ ლიკტორებმა უბძანეს იმას, რომ ცხენიდამ გადმოსტარიეო, რადგანაც აქამოდე მაგალითი არ ეოფილაო, რომ მსედარს ვინმეს გაებედნოსო იმათ ბანაკში შესვლა. ტიგრანი ბძანებას

დაჭმორჩილდა. გარდა ამისა იმან მოიხსნა სმალი და გა-
დასცა ლიკტორებს. წარუდგა რა ბომპეის, იმას აისვდა
გვირგვინი, დასდო ბომპეის თავს-ქვეშ, დაემსო დედა-მა-
წას და მიიწია ბომპეის მუხლზე სასმბორად. ბომპეიმ
ის წამოაყენა და ორვის კარავში მიიწვია. ბომპეი ტიგ-
რანს დაჭბირდა ისევ იმ ადგილებს, რაც იმას აქამომდე სწე-
რიო. თვით შვილს დაუნიშნა სოფლის სამეფლობელო,
მაგრამ ამასთანავე მოსთხოვა ხუთი ათასი ტალანტი (თი-
თქმის ცხრა მილიონ ნახევარი მანეთი თეთრი.) დამშვი-
დებულმა ტიგრანმა მიიღო ეს ბძანება და გარდა ამისა
აღუთქვა ოვითოეულს იმის ჯარის კაცს თუმანზე მეტი,
თვითეულ ცენტურიონს ოც-და-ორ თუმან ნახევარი,
თვითოეულს ტრიბუნს თვითო ტალანტი. უმაწვილი ტიგ-
რანი არ დარჩა კმაყოფილი. როდესაც ბომპეიმ მამა-შვილი
საუზმეზე მიიწვია, იმან უპასუხა: არც შენა ხარო საჭირო
და არც შენი მოწყალებაო. ბომპეიმ ის შაბორკილებისა
და თავის სტრიუმფოდ დანიშნა. თვით იბერიის მეფემ
მიართო ბომპეის მძიმე ოქროს საწოლი და საჯდომი
ტრონითურთ თავის ერდგულობის ნიშნად

,, ბომპეიმ დასტოვა—განგრძნობს ბლუტარხი—
ეფრანიუსი სომხეთის მცველად და თვითონ მიტრიდატის
ბევლს შეუდგა. ამისი გზა გადიოდა იმ ტომთ საშუალ,
რომელნიც კავკაზის გარეშემო ცხოვრობდენ. იმათ შო-
რის უფრო შემძლენი არიან ალბანელნი და იბერნი.

იბერნი ჭიდლობენ მთელს სივრცეს მოსხის მთება-
მდე და ბოსტამდე; ალბანელნი მკვიდრობენ ალმოსავლეთად

და კასპიის ზღვის მ:ხრივ. ალბანელებმა ვერ მისცეს გზა, რომელიც პომპეიმ იმათ მოსთხოვა, შემდეგ კი ზამთარმა რომ აქ იმისი ვაჯარი შეაყენა, ბარბაროსებმა ისარგებლეს იმ შემთხვევით, როდესაც რომაელები სატურნალიო დღეობას უქმობდნენ. ალბანელნი იყვნენ 40 ათასს კაცამდე. იმათ გასავლეს კირნუსი (კირუსი ანუ მტკვარი), რომელსაც სათავე აქვს იბერიის მთებში და რომელიც იერთებს თუ არა სომხეთიდამ მომდინარე არაქს, თორმეტის შესართავით ჩადის კასპიის ზღვაში. ზოგნი იტყვიან, ვითომც კირუსს არ უერთდებოდეს არაქსი, რომ არაქსი ცალკე მიმდინარეობდეს კირნუსის მახლობლად და ცალკე იმავე ზღვაში ჩადიოდეს. პომპეის შეეძლო მტრისთვის გასავალი შეეკრა; მაგრამ იმან მისცა გზა; მასუკან ის უცებ დაეცა ალბანელებს და გაუანტა ისინი დიდის ჭიანით. ალბანიის მეფემ მოციქულების პირით პომპეის შენდობა მოსთხოვა; პომპეიმ მიიღო თხოვნა და შემდეგ მიჭმართა იბერიელებს, რომელნიც ისე მრავალნი იყვნენ, როგორც ალბანელნი, თუმცა ამ უკანასკნელთ ახოვანებით აღემატებოდნენ. იბერთ დიდი სურვილი ჭქონდათ მიტრიდატისთვის სამსახური მიეგოთ და პომპეი განედევნათ. იბერნი არას დრეს არ ეოთვილან არც მიდიელების და არც სპარსების ქვეშევრდომნი; თვით მაკედონის იმპერიას არა ჭქონია იმათზე ბძანებლობა.... პომპეიმ სძლია იმათ დიდს ომში, მოუკლა ცხრა ათასი კაცი და ათი ათასზე მომატებული დასტყვევა. შემდეგ ის იბერიიდამ

მსწრაფულ გავიდა კოლხიდაში, სადაც ტაზის სართავის მასლობლად იმას შეუერთდა სირგილიუსი თავის ფლოტით „რომიელთაც ის ზონტის ზღვას იცავდა“

„დევნა მიტრიდატისა, რომელიც ბოსფორისა და მეოტიდის ტბის ტომებს შეეფარდა, დიად დამბრკოლებელი საქმე იყო. ამასთანავე ზომეის აცნობეს, რომ ალბანელნი სელასლად აიშალნენო. ის დაბრუნდა და კიდევ გავიდა კირნუსს, თუმცა მომატებულის ბრკოლვით და შიშით. აქ ბარბაროსებს ნაპირები დიდათ თურმე გაემაგრებინათ; გალმა მდინარისა დიდი გზა იყო; გასავალი სრიაგს და უწყალო მსარეში. ზომეიმ გაამსებინა ათი-ათასი ტიკი და ჯარი გაიყვანა ბირის-ბირ მტკვრისა, რომელიც საბრძოლად იდგა აბასის წყლის კიდეზე. ალბანელებს ჰყვანდათ 60 ათასი ქვეითი ჯარი, 12 ათასი ფსენოსანი. მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი; მომატებული იმათგანი ბირუტუკის ტყავით იყო მოსილი. იმათ ბძანებლობდა მეფის ძმა, ხახელად კოხისი. ასტუდა თუ არა ბრძოლა, კოხისი მსწრაფულ მიიკლტო ზომეისთან და მიახალა იმას ისარი, რომელიც მსოლოდ შეეხოიმის ჯავშანს. ზომეიმ თავის მხრით სტეფორცნა კოხის ისარი და მოკლა ისა. ამბობენ, ვითომც ამაზონები ჩამოსულიყვნენ იმ მთიდამ, რომელიც თერმოდონის მდინარის მასლობლად მდებარებს და ბარბაროსების წყობაში იბრძოდნენ. მართლა და როდესაც ბრძოლის შემდეგ რომაელებმა მკვდრები გაცარცვეს, იმათ გვამებზე ჰპოვეს ამაზონების

ფარები და ფეხ-საცმელები; მაგრამ არ შეუნიშნავთ კი არც ერთის დედა-კაცის გვამი. ამაზონები მეტიდრობენ კავკაზის მარეში, რომელიც ჭირკანიას დასტქერის. ისინი არ არიან ალბანელების მოსაზღვრენი, რადგანაც იმათ ჭოფენ გეტები და ლეგები: ის ნი ორველ-წლიგ ორის თვის განმავლობაში უერთდებიან ამ ორ ტომს თერმოდონის ნაპირზე; ვადის გასვლის შემდეგ ისინი შედიან ისევ თავიანთ ქვეყანაში, სადაც სრულებით მარტო ცხოვრობენ და აქ არავითარი დამოკიდებულება არა არის რა იმათის მამა-კაცებს შორის.''

ამ ბრძოლის შემდეგ პომპეიმ მიჭმართა ჭირკანიისკენ და კასპიის ზღვისკენ. იმან დაჭყო გზაზე მხოლოდ სამი დღე; მაგრამ აქ ის მიაწყდა მრავალს-ძალს (ხალხიან გვეელებს,) რომელნიც ამ მხარეებში იპოებიან. ამისაგამო ის ისევ უკუ-იქცა და მტირე-სომხეთში შევიდა.... გასაოცარი იყო პომპეის ტრიუმფი იმის შესვლის დროს რომში. მთელი რომი შეიძრა და საადღესასწაულოდ შეიმოსა. პომპეის წინ მიჭქონდათ ოქმები, რომლებშიაც იხსენებოდა ძლეული ქვეყნები: პონტი, სომხეთი, კაპპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხიდა, იბერია, ალბანია, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკია, პალესტინა, ურიასტანი, არაბისტანი.... მოიხსენებოდა აგრეთვე, რომ ამ ქვეყნებში პომპეიმ აიღო 1000 ციხე-სიმაგრე და 300 ქალაქამდე, მოუღო ზღვის მეკობრეებს 800 გემი და გაანაშენა 39 ქალაქი, დაცლილი მცხოვრებთაგან. ამასთანავე

ოქმები ამბობდნენ, რომ საზოგადო შემოსავალი, რომელიც ბომბეის წილად შეადგენდა 50 მილიონს დრაქმას, იმის ძლევა-მოსილის მოქმედებით აღვიდა 80 მილიონამდე და 500 დრაქონამდე; რომ, გარდა ამისა იმან შეჭმა ცალა რომის საზინას მოჭედილის ფულით—თუ ოქროსა და ვერცხლის ნივთიერებით—20 ათასი ტალანტი. ტუვენი, რომელნიც ტრიუმფს შეადგენდნენ, იუვნენ: მეკობრათ უფროსთ გარდა, სომხეთის მეფის ტიგრანის შვილი თავის ცოლით და ქალით; ზოზიმე, მოსუჯის ტიგრანის ცოლი. ურიების მეფე არისტობული, მიტრიდატის და ლ ხუთი შვილი, სკვითების დედა-კაცნი, და ამანათები ალბანელებისა, იბერიელებისა და კომმაგენის მეფისა.

აქ სტატიის შესავსებლად. საჭირო ვსდით ორიოდე სიტყვაც დავურთოთ. ჩვენ ზემოდ მოვისსენეთ, რომ სულ ძველად ჩვენის ქვეყნის სახელ-წოდება იბერია არ იხმარებოდა არც უცხო ტომთაგან, არც ჩვენ წინა-ბართაგან. ის ისსენება მხოლოდ იმ დროდამ, როდესაც რომაელები შემოვიდნენ ჩვენს მხარეში მიტრიდატთან საბრძოლველად, საკუთრივ ამ დროდამ იხმარება ის საზოგადოდ როგორც რომაელებისგან, აგრეთვე ბერძნებისაგან. სჩანსო, ამბობს ვივანე სენ-მარტენი, რომ რომაელებმა ჭეოვეს იბერია თვით საქართველოში და აქედამ გაავრცელეს იმის გარეთ. ბომბეის დროდამვე შეიძინეს იმათ დაწვრილებით ცნობა იმ დიდ საალებ-მიცემო გზაზე, რო-

მელიც ინდოეთიდამ კასპიის ზღვით პონტის ზღვის მხარეს მისდევდა, დასრულა თუ არა თავისი ომიანობა, პომპეიმ წარგზავნა სხვა და სხვა მხარეს მცოდნენი და გამოცდილნი პირნი, რომელთაც უნდა შეეგროვებინათ ამ საგნის შესახები ფაქტები. ჩვენ ეს გზა ზემოდ აღწერილი გვაქვს, ამისთვის იმაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; მხოლოდ დავუმთავთ, რომ პლინის თქმით, (ცხოვრობდა პირველს საუკ. ქრისტეს შემდეგ.), ინდოეთის საკვანძო, რომელიც ვითომც ნავებით მიდიოდა სურიუმდე ანუ სურამამდე, სურამიდამ აქლემებით და ცხენებით გადიოდა სარაპანამდე, საიდამაც ისევ ნავებით მიემგზავრებოდა ზღვამდე... პლინი ამბობს აგრეთვე, რომ რომაელების აღებ-მიცემობა სარაპანში გაჭრებს აკეთებდა ასის სარგებლით ასზე, მაგრამ ჩვენის, რომ ეს აღებ-მიცემობა მეტად იზიდავდა აქ ოქრის და ვერცხლს, ასე რომ ყოველ-წლივ რომი ას მილიონს სესტერციის გზავნიდა სარაპანში.

———

947.92
ბ 325

ფასი ორი შაური.